სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240169072
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.02.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო თოფურია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 179-ა, ბინა 15 (პირველი სართული)
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2348157
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	40259986004124

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას ოცდაოთხი წლის ცამეტ თებერვალს მე, ნოტარიუს ნინო თოფურიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №179ა, ბინა 15 (პირველი სართული), მომმართეს: *სალომე მაყაშვილმა* (დაბ. 18.10.1988წ. რეგისტრაციის მისამართი: თბილისი, არნოლდ ჩიქობავას ქუჩა N 30, პ/მ 15IA06934, პირადი #01030048194, გაც. 23/12/2015წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ) და *ალექსანდრე სესიაშვილმა* (დაბ. 23.09.1984წ. რეგისტრაციის მისამართი: თბილისი, ზუგდიდის ქუჩა N 3, ბინა 78, პ/მ 22IB05370, პირადი #01007011414, გაც. 16/01/2023წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ).

მათ მოითხოვეს თავისი სიტყვებით განცხადების შედგენა და ნოტარიატის შესახებ კანონის 38-ე მუხლის "ზ" პუნქტისა და სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მასზე თავიანთი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, მათთან გასაუბრებით შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა, ასევე შევამოწმე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. მხარეებს განვუმარტე: სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირებს ეკუთვნით; ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და, შესაბამისად, პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე. შემდეგ, მათი კარნახით შევადგინე წინამდებარე განცხადება, რომელზედაც მხარეებმა ხელმოწერა შეასრულეს ჩემი – ნოტარიუსის თანდასწრებით. სანოტარო მომსახურებისათვის გადახდილია საზღაური, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის გადახდევინების წესის შესახებ 29.12.2011წ. საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა ***12*** ლარი + ***10*** ლარი (პროექტის შედგენისათვის) და 39-ე მუხლისა "ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის", ***5*** ლარი. სულ გადახდილია ***27*** (ოცდაშვიდი) ლარი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენ - სალომე მაყაშვილი (პ/ნ 01030048194) *და ალექსანდრე სესიაშვილი* (პ/ნ 01007011414), *როგორც პროექტი AR 1697187 ავტორები, თანახმა ვართ საავტორო უფლება გადაეცეს ვახტანგ არჩვაძეს* (პ/ნ 62001005662), *რათა მან განახორციელოს ყველა საჭირო საპროექტო სამუშაოები მერიის არქიტექტურის სამსახურში, რასაც ვადასტურებთ ჩვენი ხელმოწერით:*

1. წავიკითხე, ვეთანხმები სალომე მაყაშვილი

2. წავიკითხე, ვეთანხმები ალექსანდრე სესიაშვილი

ნოტარიუსი: ნ. თოფურია

საქართველო, ნოტარიუსი ნინო თოფურია
GEORGIA NOTARY NINO TOPURIA
01005008132